საქართველოს სოლიდარობის ფონდი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრს

ბ-ნ ალექსანდრე ჯეჯელავას

ბატონო ალექსანდრე,

მოგეხსენებათ, რომ საქართველოს სოლიდარობის ფონდის დაფუძნებიდან ორი წელი შესრულდა, რომელიც ეროვნული სოლიდარობის ფონდისათვის უპრეცედენტო შედეგების მიღწევის პერიოდი გახლდათ.

უკვე 2 წელია, სოლიდარობის ფონდის დაფუძნების დღიდან, საქართველოში სიმსივნით დაავადებული არც ერთი ბავშვი და 22 წლამდე ახალგაზრდა უსახსრობის გამო არ დაღუპულა.

აღნიშნული შედეგი ქვეყნის მასშტაბით საჯარო სექტორის 60 000-ზე მეტი თანამშრომლის ყოველთვიური ჩართულობითა და 27 კომპანიის დახმარებით გახდა შესაძლებელი.

ამ ისტორიული შედეგის მიღწევა შესაძლებელი გახდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს აპარატისა და სამინისტროს დაქვემდებარებული უწყებების 919 თანამშრომლის ჩართულობით, რისთვისაც უაღრესად დიდ მადლობას მოგახსენებთ.

თუმცა მიუხედავად მნიშვნელოვანი მიღწევებისა, სოლიდარობის ფონდში ყოველთვიური დონაციები არ არის საკმარისი 22 წლამდე ასაკის სიმსივნით დაავადებული ბავშვებისა და ახალგაზრდების სრულად დაფინანსებისათვის გრძელვადიან პერსპექტივაში.

აქვე მოგეხსენებათ, რომ სოლიდარობის ფონდში მონაწილეობა როგორც საჯარო, ასევე კერძო სექტორის თანამშრომლებისა და ორგანიზაციებისათვის არის ნებაყოფლობითი.

შესაბამისად, გვსურს კიდევ ერთხელ მივმართოთ საჯარო სექტორში დასაქმებულ თითოეულ მოხელეს, რომ სოლიდარობის ფონდის საქმიანობის გაცნობის შემდეგ, სურვილის შემთხვევაში შემოგვიერთდნენ.

აღნიშნული წერილით გთხოვთ, სოლიდარობის ფონდის თანდართული მიმართვა გაუზიაროთ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დაქვემდებარებული უწყებების თანამშრომლებს ინფორმირებისა და შესაძლო მხარდაჭერისათვის.

მადლობას მოგახსენებთ ჩვეული თანადგომისათვის.

პატივისცემით,

მარიამ ჯაში
საქართველოს სოლიდარობის ფონდის
აღმასრულებელი დირექტორი

N558
16.06.2016

მისამართი: თბილისი 0114, საქართველო, ინგოროყვას ქ. 7
ელ.ფოსტა: SOLIDARITY@GEO.GOV.GE
ტელ: (995 32) 299 09 00
ცხელი ხაზი: 15 05

სოლიდარობის ფონდი
SOLIDARITY FUND

Ivane Gabashvili

საქართველოს სოლიდარობის ფონდის მიმართვა

საქართველოს შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის თანამშრომლებს

სოლიდარობის ფონდი - ჩემი ოჯახის იმედი

1 წლის მათეს ბაბუის, ბატონი გოჩა ქარჩავას სიტყვები

ქალბატონებო და ბატონებო,

მოგესალმებით და პირველ რიგში მადლობას მოგახსენებთ შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის 22 თანამშრომელს, რომლებიც სოლიდარობის ფონდს უკვე მეორე წელია უმნიშნელოვანეს მხარდაჭერას უწევთ.

სწორედ თქვენი ჩართულობით და ყოველთვიური დახმარებით ეროვნული სოლიდარობის ფონდმა უპრეცედენტო შედეგების მიღწევა შეძლო!

„მადლობა ჩემი ნიკოლოზის თითოეული ამოსუნთქვისათვის...“ - 12 წლის ნიკოლოზის დედის ქალბატონი ხათუნას ეს სიტყვები ალბათ ყველაზე მეტად გამოხატავს სოლიდარობის ფონდის მნიშვნელობას და თუ რამდენად სასიცოცხლოა ჩვენი საზოგადოების სოლიდარობით შექმნილი ეს უდიდესი სიკეთე.

2014 წელს საქართველოში ჯანდაცვის ბიუჯეტის მნიშვნელოვანი ზრდისა და ქვეყანაში ონკოლოგიის სფეროში უკვე მოქმედი ფონდების უდიდესი ძალისხმევის მიუხედავად, ასობით ოჯახი კვლავ რჩებოდა განსაკუთრებით ძვირადღირებული მკურნალობით გამოწვეული კატასტროფული დანახარჯების რისკის წინაშე.

შვილის მკურნალობისათვის დაფინანსების ერთადერთ საშუალებად ბევრი ოჯახისათვის საცხოვრებლის ან სხვა ძირითადი ქონების გაყიდვა რჩებოდა და ხშირად ესეც არ იყო საკმარისი...

მაგრამ უკვე 2 წელია, სოლიდარობის ფონდის დაფუძნების დღიდან, საქართველოში სიმსივნით დაავადებული არც ერთი ბავშვი და 22 წლამდე ახალგაზრდა უსახსრობის გამო არ დაღუპულა.

- ეს ის ისტორიული შედეგია, რომელიც ჩვენ თქვენთან ერთად - ყოველთვიურად 60 000-ზე მეტი საჯარო მოხელისა და 27 კერძო კომპანიის დახმარებით შევძელით.

- ჩვენ ერთად უკვე 6 785 935 ლარის მობილიზება შევძელით და პროგნოზული დაფინანსების გათვალისწინებით 265 ბავშვისა და ახალგაზრდის მკურნალობის დაფინანსება დავამტკიცეთ საერთო ჯამში 9 მილიონი ლარის მოცულობით. 145 შემთხვევაში სოლიდარობის ფონდმა განსაკუთრებით ძვირადღირებული დიაგნოსტიკისა და მკურნალობის დაფინანსება დაამტკიცა საზღვარგარეთ - გერმანიის, ესპანეთის, თურქეთის, ისრაელის, იტალიის, საფრანგეთის, იაპონიის და აშშ-ს კლინიკებში.

- ეს ის უპრეცედენტო შედეგია, რომლის შენარჩუნებაც სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია და რომელსაც ჩვენ მხოლოდ საზოგადოების, საჯარო და კერძო სექტორის კიდევ უფრო მეტი ჩართულობით შევძლებთ.

სწორედ ამ ისტორიული შედეგის შენარჩუნებისა და სოლიდარობის ფონდის პროგრამების შემდგომი გაფართოებისათვის, მოგმართავთ თხოვნით - თუკი ჯერ არ ხართ ჩართული ეროვნული სოლიდარობის ფონდის ინიციატივაში - რომ შემოგვიერთდეთ. ქვეყნის მასშტაბით საჯარო სექტორში დასაქმებული 300 000-მდე თანამშრომლის ყოველთვიური ჩართულობით, ჩვენ არა მხოლოდ შევინარჩუნებთ სიმსივნით დაავადებული ბავშვებისა და ახალგაზრდების დახმარებას, არამდე შევძლებთ შეზღუდული შესაძლებლობებისა და იშვიათი დაავადებების მქონე ბავშვების სისტემურ დახმარებას.

თუკი აღნიშნული წერილისა და ფონდის საქმიანობის დეტალურად გაცნობის შემდგომ (www.solidaroba.ge) გაგიჩნდებათ სურვილი, რომ ყოველთვიური მცირე დონაციებით გააძლიეროთ საქართველოს სოლიდარობის ფონდი, გთხოვთ:

1. შეავსოთ ყოველთვიური დონაციის თანხმობის თანდართული ფორმა და გადასცეთ თქვენი უწყების ფინანსურ დეპარტამენტს/განყოფილებას, ან

2. განახორციელოთ სოლიდარობის ფონდის ოფიციალური ვებ-გვერდიდან www.solidaroba.ge ონ-ლაინ დონაციია, ან

3. გადმოწეროთ Solidarity Fund ინოვაციური აპლიკაცია Apple და Google მარკეტებიდან, მარტივად გაეცნოთ სოლიდარობის ფონდის სიახლეებს და ბავშვების დასახმარებლად თქვენთვის სასურველი დონაცია განახორციელოთ პირდაპირ ტელეფონიდან.

   წინასწარ მადლობას მოგახსენებთ სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი თანადგომისათვის.

   პატივისცემით,

   მარიამ ჯაში
   საქართველოს სოლიდარობის ფონდის
   აღმასრულებელი დირექტორი

   2016 წლის 15 ივნისი

საქართველოს სოლიდარობის ფონდის მხარდაჭერის სურვილის შემთხვევაში, გთხოვთ შეავსოთ წინამდებარე ფორმა და გადასცეთ თქვენი უწყების ფინანსურ დეპარტამენტს/ერთეულს, რომ მოხდეს თანამშრომელთა მიერ გაღებული დონაციების ერთიანად (კუმულაციურად) გადარიცხვა სოლიდარობის ფონდში

დანართი 1
საქართველოს სოლიდარობის ფონდში ყოველთვიურ ნებაყოფლობით მიკრო-დონაციაზე თანხმობის ფორმა

დაწესებულების დასახელება:	----------
სტრუქტურული ერთეული:	----------
სახელი და გვარი:	----------

მიმღები: ა(ა)იპ „საქართველოს სოლიდარობის ფონდი“

1. ვადასტურებ, რომ ვიცნობ „საქართველოს სოლიდარობის ფონდის“ მიზნებს და თანახმა ვარ ყოველთვიურად ჩემი თანამდებობრივი სარგოდან აღნიშნულ ფონდში გადაირიცხოს დონაცია ქვემოთ მითითებული თანხის მოცულობით.

მონიშნეთ √ ქვემოთ მოყვანილი დონაციის მოცულობებიდან ან მიუთითეთ რიცხობრივად ან სიტყვიერად თქვენთვის სასურველი თანხა ლარში.

☐	1 ლარი	☐	10 ლარი
☐	2 ლარი	☐	20 ლარი
☐	5 ლარი	☐	50 ლარი

--------- (თანხა რიცხობრივად) ---------- (თანხა სიტყვიერად) ლარი

2. ჩემთვის გასაგებია და მისაღები, რომ ჩემი მონაწილეობა სოლიდარობის ფონდისთვის თანხების მოძიებაში არის ნებაყოფლობითი და ნებისმიერ დროს ჩემი ხელმძღვანელისთვის წინასწარი შეტყობინების გარეშე შემიძლია თანხის გადარიცხვის შეწყვეტა მისთვის ან ნებისმიერი სხვა პირისთვის მიზეზების განმარტების გარეშე;

3. მე მესმის, რომ ჩემი პირადი თუ საბანკო მონაცემები არ გაიცემა მე-3 პირზე ჩემი ამ საქმიანობაში მონაწილეობის განმავლობაში;

4. მე მესმის, რომ ჩემი კარიერული თუ სხვა მიზნების სასარგებლოდ არ იმოქმედებს ჩემს მიერ სოლიდარობის ფონდისთვის თანხის გადარიცხვის შემთხვევები;

5. მე თანხმობას ვაცხადებ ნებაყოფლობით, ზემოთ აღნიშნული თანხის ყოველთვიურად გადარიცხვაზე „საქართველოს სოლიდარობის ფონდის“ ანგარიშზე;

_____ _____

ხელმოწერა თარიღი

დანართი 2

საქართველოს სოლიდარობის ფონდში დონაციის განხორციელების შესაძლებლობები და ფონდის საბანკო ანგარიშების რეკვიზიტები

თანხის გადარიცხვა ასევე შესაძლებელია Solidarity Fund აპლიკაციით ANDROID და IOS სისტემის ტელეფონებიდან